პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 127 (10521) | შაბათი, 2 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გავაუმჯობესოთ წიგნის გამომცემლობის საქმე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ წიგნის გამომცემლობის გაუმჯობესებისა და განვითარების საქმეს. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივებში აღნიშნულია: **„მიღებულ იქნას ღონისძიებანი წიგნის გამომცემლობის საქმის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. გადიდდეს წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოშვება, ამასთან ყურადღება მიექცეს გამოცემებისა და ტირაჟების შემდგომ ზრდას“.**

წიგნი აიარაღებს საბჭოთა ადამიანებს მეცნიერების კანონების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ცოდნით, ამდიდრებს მათ სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით, რაზმავს კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკაში წლითიწლობით დიდდება პოლიტიკურ-მეცნიერული, მხატვრული, საწარმოო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ლიტერატურის გამოშვება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემულია 4.406 სახელწოდების წიგნი 29.209,0 ათასი ცალი ტირაჟით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემა.

საქართველოს სსრ გამომცემლობებმა რამდენადმე გააუმჯობესეს წიგნის პროდუქციის გამოშვება. 1955 წლის თემატური გეგმა შეასრულეს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“, „ზარია ვოსტოკამ“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტისა და სამედიცინო გამომცემლობებმა.

ამასთან ერთად წიგნის გამოცემის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ჩვენი გამომცემლობები ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურაზე. რესპუბლიკის წიგნის ფონდი ცუდად ივსება რუსული კლასიკური ლიტერატურით, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებებით.

გამომცემლობების ამოცანაა უზრუნველყონ ლიტერატურის შეუფერხებელი გამოცემა ეკონომიკის საკითხებზე. ისინი მოწოდებული არიან აწარმოონ კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის პროპაგანდა, განაზოგადონ და გაავრცელონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დაგროვებული მდიდარი გამოცდილება, გასწიონ ფართო პროპაგანდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ცოტა კეთდება. მეტად მცირეა საქმის ღრმა ცოდნით, ცოცხლად და საინტერესოდ დაწერილი წიგნები მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებაზე.

ჯერ კიდევ ცოტა გამოდის ლიტერატურა ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა საბლიტგამი სისტემატურად ვერ ასრულებს საბავშვო წიგნების გამოცემის გეგმებს. გასული წლის თემატური გეგმა გამომცემლობამ მხოლოდ 63,7 პროცენტით შეასრულა.

ცუდად მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე დიდი გამომცემლობა — სახელგამი. აქ წლების მანძილზე არ სრულდება ლიტერატურის გამოცემის თემატური გეგმა. გამომცემლობის ხელმძღვანელობა დაუდევრობას იჩენს რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემის საქმეში.

მ. გორკის ნაწარმოებთა 12-ტომეულის I ტომი რამდენიმე წელიწადია შეაქვთ თემატურ გეგმაში, მაგრამ დღემდე არ გამოსულა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემის მხრივ.

სახელგამი უკვე ორი ათეული წელია უშვებს ილიასა და აკაკის ნაწარმოებთა სრულ კრებულს, მაგრამ დღემდე ნაწარმოებთა არც აკადემიური და არც სრული კრებულის გამოცემა დამთავრებული არ არის.

სახელგამის მუშაობაში აღმოფხვრილი არ არის უნაყოფო ხარჯები. წიგნების გამოცემის დროს მოქმედებენ არ იხარჯება სახელმწიფო სახსრები, ქაღალდი და სხვა მასალები. გამომცემლობის მუშაკთა დაუდევრობის შედეგად წვიმისაგან გაფუჭდა ხუთ ტონაზე მეტი საბეჭდი ქაღალდი. არ არის ჯეროვანი მომთხოვნელობა ავტორების მიმართ, არ წარმოებს წიგნების მაღალხარისხოვანი რედაქტირება. ამის გამო თითქმის ყველა წიგნში წარმოიმის სხვადასხვა ეტაპზე შეაქვთ შესწორებები, რის შედეგად ზოგჯერ რამდენჯერმე ხდება ერთი და იმავე ნაწარმოების აწყობა. მარტო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ხაზით 1955 წელს გამოსაცემად გამზადებულ 16 სახელწოდების წიგნში ამოხეულ იქნა ფურცლები, რისთვისაც გამომცემლობამ სტამბას რამდენიმე ათასი მანეთი გადაუხადა.

სუსტად ხელმძღვანელობს სახელგამის მუშაობას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა მთავარი სამმართველო. ამის შედეგია ის სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები, რომელსაც ადგილი აქვს გამომცემლობის მუშაობაში. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას, რომ სახელგამში მიმდინარე წელს კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საგამომცემლო გეგმის შესრულების საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ჩვენი სტამბების მუშაობას. ბევრ სტამბაში ნელა ეუფლებიან წარმოების მოწინავე ტექნოლოგიას, ნელა ავრცელებენ შრომის ახალ მეთოდებს.

ცუდად მუშაობს თბილისის I-ლი სტამბა. აქ დაუშვებლად ჭიანურდება სახელგამის წიგნების ბეჭდვა.

ჩვენმა გამომცემლობებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ წიგნის გამოცემის საქმე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XX ყრილობამ დასახა.

წიგნის გამოცემის საქმე ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია. პარტიულმა ორგანიზაციებმა კონკრეტული, ცოცხალი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გამომცემლობათა მუშაობას. ისინი მოწოდებული არიან ისე მოაწყონ ლიტერატურის გამოცემა, რომ ის ეზმარებოდეს რესპუბლიკის წინაშე მდგომი ეკონომიური და კულტურული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲗᲐᲜ

უნგენი (მოლდავეთის სსრ), 1 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით საზღვრისპირა სადგურ უნგენში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება საბჭოთა კავშირში.

პრეზიდენტ ტიტოსთან და მის მეუღლესთან ერთად ჩამოვიდნენ საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი და თანმხლები პირები. ამავე დროს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ნ. ს. ფირიუბინი.

ჩამოვიდა აგრეთვე იუგოსლავ ჟურნალისტთა ჯგუფი, მათ შორის გაზეთ „ბორბას“ დირექტორი ივო სარაიჩიჩი და გაზეთ „ვიესნიკის“ დირექტორი ჯურო კლადარინი.

პრეზიდენტ ტიტოს შესახვედრად საზღვარზე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ნ. კორობოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. დ. ლეგინკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ა. კოჩეტკოვი.

შემხვედრთა შორის იყვნენ მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. პოლოზი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. შჩელოკოვი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. ტკაჩი, ოდესის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. რაძიევსკი, პარტიის უნგენის რაიკომის მდივანი ლ. პ. სმირნოვი, უნგენის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. ი. ომელჩენკო, პრესის წარმომადგენლები.

პრეზიდენტს შეხვდნენ საზღვარზე ჩამოსული იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი და სამხედრო ატაშე ბოგდან მამული.

...სადგურ უნგენის ვაგზლის შენობა მორთულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და მოლდავეთის სსრ სახელმწიფო ალმებით. გამოირჩევა ტრანსპარანტები წარწერით რუსულ, სერბულ და მოლდავურ ენებზე: „მხურვალე სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ტიტოს“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, „ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას“.

ვაგზლის წინ შეიკრიბა ქალაქისა და ახლომახლო სოფლების ათასობით მშრომელი, რათა მისალმებოდნენ ამხანაგ ტიტოს და გამოეხატათ მოძმე იუგოსლავი ხალხისადმი მეგობრობის ღრმა გრძნობა.

ვაგონიდან გამოდიან პრეზიდენტი ტიტო მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები. ადგილობრივი მოლდაური სკოლის პიონერებმა მათ ყვავილები მიართვეს. ამხ. ნ. მ. პეგოვმა პრეზიდენტი გააცნო შემხვედრთ. შემდეგ ნ. მ. პეგოვის, არმიის გენერლის ა. ი. ანტონოვისა და გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. რაძიევსკის თანხლებით პრეზიდენტი ტიტო გაემართა ბაქანზე ჩამწკრივებული საპატიო ყარაულისაკენ. ყარაულის უფროსი პატაკს აძლევს. გაისმის იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და მოლდავეთის სსრ ჰიმნები. იოსიპ ბროზ ტიტომ ჩამოუარა საპატიო ყარაულს.

პრეზიდენტს მიესალმა მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. შჩელოკოვი:

— ძვირფასო ამხანაგო ტიტო, ძვირფასო ამხანაგებო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებო! ნება მიბოძეთ მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, მთელი მოლდაველი ხალხის სახელით გადმოგცეთ ძმური გულითადი სალამი.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ გხედავთ საბჭოთა კავშირში. მოლდაველი ხალხი დარწმუნებულია, რომ ამ მეგობრობის ვიზიტსა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაცნობას მოჰყვება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება ახალი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

უნგენის რაიონის მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სადგურ უნგენის საორთქლმავლო დეპოს მემანქანემ ა. გ. ბოტნარმა. იგი გულითადად მიესალმა ამხანაგ ტიტოს და მისი სახით მთელ მოძმე იუგოსლავ ხალხს.

შეკრებილთ საპასუხო სიტყვით მიმართა პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ.

— ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო! ჩემი ამხანაგების სახელით და ჩემი სახელით დიდ მადლობას გიძღვნით მხურვალე მიღებისათვის. მე მივესალმები მოლდავეთის რესპუბლიკისა და დიდი საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ჩვენ სსრ კავშირში ჩამოვედით და მოგვაქვს იუგოსლავიის მშრომელთა საუკეთესო სურვილები. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამხანაგები ხრუშჩოვი და ბულგანინი მოლაპარაკებს აწარმოებდნენ ჩვენთან ბელგრადში, სადაც ყველანი ვცდილობდით უარგვეყო ყოველივე ის, რაც ომის შემდეგ არასასიამოვნო იყო ჩვენს შორის.

ჩვენ მივდივართ მოსკოვს, კვლავაც ვისაუბრებთ და შემდგომშიც უარვყოფთ ყველა იმ ელემენტს, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ დაგვემყარებინა უაღრესი ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ხალხებს შორის. იუგოსლავიის ხალხების სახით თქვენ საუკეთესო მოკავშირე და მეგობარი გყავდათ ომის წლებში. იუგოსლავიის ხალხებმა ამ დიად ბრძოლაში გაიღეს ყველაფერი, რის გაღებაც შეეძლოთ, რათა ერთობლივად გვებრძოლნა საერთო მტრის — ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რათა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ყველაზე უარესი მტრისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში.

ამხანაგებო! მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენს ამ ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში არა მარტო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებისათვის, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და ყველა ხალხს შორის თანამეგობრობისათვის. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ერთიანი ვართ ისეთ დიდმნიშვნელოვან ბრძოლაში, როგორიც არის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა. და ჩვენ მომავალში ყოველივე შესაძლებელს გავაკეთებთ, რათა კაცობრიობამ შეძლოს ვითარდებოდეს მშვიდობის პირობებში და მიეცეს მას შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი უნარი უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად.

ერთხელ კიდევ მადლობას გიძღვნით ამ მხურვალე მიღებისათვის და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენს შემდგომ მუშაობაში თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამხანაგ ტიტოს არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშით. პრეზიდენტის ბოლო სიტყვებს მოჰყვა მძლავრი „ვაშა!“ და მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს გმირ იუგოსლავ ხალხს!“, „გაუმარჯოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“.

მიტინგი დამთავრდა. პრეზიდენტი ტიტო და მისი თანმხლები პირები ვაგონებისაკენ მიდიან. მატარებელი გზას განაგრძობს.

ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲗᲐᲜ

კიშინიოვი, 1 ივნისი. (საკდესი). დღეს შუადღისას მოლდავეთის სსრ დედაქალაქის — კიშინიოვის მშრომელნი შეხვდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს, მის მეუღლეს და მათს თანმხლებ პირებს.

ვაგზლის შენობა და ვაგზლის მიედანი სადღესასწაულოდ მორთულია იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირისა და მოლდავეთის სსრ სახელმწიფო ალმებით, ყვავილებით და მწვანით, ლოზუნგებით, რომლებზეც წარწერილია მოძმე იუგოსლავიის ხალხებისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ტიტოსადმი მხურვალე მისალმების სიტყვები.

12 საათი და 5 წუთია. პრეზიდენტის მატარებელი უახლოვდება ვაგზალს. პერონზე გამოდიან იოსიპ ბროზ ტიტო, მისი მეუღლე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი და სხვები.

პრეზიდენტ ტიტოს გულთბილად მიესალმნენ ვაგზალში მოსული მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. კოდიცა, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ტ. სერდიუკი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. რუდი, მინისტრები, დეპუტატები.

პიონერების ჯგუფმა იოსიპ ბროზ ტიტოს, მის მეუღლესა და თანმხლებ პირებს მიართვა ყვავილის თაიგულები. ბაქანზე ხშირად გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძმურ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს პრეზიდენტ ტიტოს!“, „ეკივიო ტიტო!“.

მიმართა რა დამსწრეთ, იოსიპ ბროზ ტიტომ თქვა:

— ნება მიბოძეთ იუგოსლავიის ხალხთა სახელით დიდი მადლობა მოგახსენოთ მეტად გულთბილი შეხვედრისათვის, რაც ჩვენ მოგვიწყეთ.

ძალიან მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვაქვს ჩამოვიდეთ სსრ კავშირში, გავეცნოთ თქვენს მოღწევებს, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, თქვენი შემოქმედებითი შრომის შედეგებს. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

12 საათსა და 21 წუთზე სპეციალურმა მატარებელმა, რომლითაც პრეზიდენტი ტიტო მგზავრობს, კიშინიოვის სადგურიდან განაგრძო გზა.

Ნ. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲛᲐ ᲓᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲝᲚᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

31 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში მყოფი დანიის ფოლკეტინგის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ფოლკეტინგის თავმჯდომარე გ. პედერსენი (დელეგაციის მეთაური), ფოლკეტინგის დეპუტატები ე. ენსენი, ს. ჰორნი, არნტ ენსენი, ე. სიონდერუპი, ნ. გოტშალკ-ჰანსენი, კ. ბეგჰოლმი, ი. იორგენსენი, ა. ნორმანი, ალფრედ ენსენი, ს. ოლესენი, ჰ. მიოლერი.

დელეგაციას ახლდა დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი.

მიღების დროს გაიმართა მეგობრული საუბარი.

მიღებას დაესწრნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, აგრეთვე დელეგაციის თანმხლები დანიელი ჟურნალისტები და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

დეპეშა

მის აღმაგზებულებას გაგონ ჯოვანი გრონკის ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

ᲠᲝᲛᲘ

იტალიისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს — რესპუბლიკის გამოცხადების მეათე წლისთავის დღეს ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, გადმოგცეთ თქვენ და იტალიელ ხალხს გულითადი და გულწრფელი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირის ხალხთა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იტალიის რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესება და განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ეფექტიან განმტკიცებას, რაც სავსებით შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებას.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, 1956 წლის 1 ივნისი.

„ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ Ქ-Ნ ᲐᲙᲘᲙᲝ ᲡᲔᲙᲘᲡ

31 მაისს მოსკოვში იაპონიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს და მშვიდობისათვის მებრძოლს ქ-ნ აკიკო სეკის საზეიმო ვითარებაში გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

კრემლის სვერდლოვის დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები, ხელოვნების მუშაკები, მოსკოვის საწარმოთა მუშები. დარბაზში აგრეთვე იყვნენ აზიის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგაციის წევრები, ფინეთის ქალთა დელეგაცია, საბჭოთა და იაპონელი ჟურნალისტები.

პრეზიდიუმში იყვნენ: ქ-ნი აკიკო სეკი, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის წევრი გ. ვ. ალექსანდროვი, სრულიად ინდოეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე საიფუდინ კიტჩლუ, აზიის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელი ისიკავა ტაცუძო, კომპოზიტორი დ. ბ. კაბალევსკი და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

ქ-ნ აკიკო სეკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემის წინ აკადემიკოსმა სკობელცინმა თავის სიტყვაში დაახასიათა იგი როგორც მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ნიჭიერი ორგანიზატორი მასობრივი ხალხური გუნდებისა, რომლებიც გაერთიანდნენ მოძრაობაში სახელწოდებით „იაპონიის მომღერალი ხმები“, რომელიც იბრძვის იაპონიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და მეგობრობისათვის. სკობელცინმა აღნიშნა, რომ ქ-ნ აკიკო სეკისათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება ნიშნავს აგრეთვე მშვიდობისათვის მთელი იაპონელი ხალხის ბრძოლის დიდი მნიშვნელობის აღიარებას.

აკადემიკოსმა სკობელცინმა ქ-ნ აკიკო სეკის გადასცა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი და დიპლომი.

დაჯილდოებულს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ი. კოტოვმა, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა ა. ვ. სვეშნიკოვმა, აზიის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგაციის წევრმა მწერალმა მურამაცუმ, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრმა ე. ვ. ევგენევამ, კომპოზიტორმა ა. გ. ნოვიკოვმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გ. იაკოვლევმა.

შემდეგ გამოქვეყნდა დეპეშა, რომელიც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა მიიღო მოძრაობა „იაპონიის მომღერალი ხმების“ ცენტრალური გუნდისაგან. დეპეშაში ნათქვამია: „მთელი იაპონია აღსავსეა სიხარულით ქ-ნ აკიკო სეკის პრემიით დაჯილდოების გამო. იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა კვლავ დიდი ძალა გახდა. გაუმარჯოს მშვიდობიან ერთიანობას ტოკიოსა და მოსკოვს შორის. გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში“.

პრემიის გადაცემის ზეიმზე სიტყვა წარმოთქვა ქ-ნმა აკიკო სეკიმ. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტს, რომელმაც მას მაღალი ჯილდო მიანიჭა.

— მშვიდობის პერსპექტივები ახლა უფრო ნათელია, ვიდრე წარსულ წლებში, — თქვა ქ-ნმა აკიკო სეკიმ. — ჩვენი პლანეტის ადამიანთა დიდი უმრავლესობა მშვიდობას ესწრაფვის. ბევრი ხალხი ემხრობა მშვიდობის დაცვის მოძრაობას, მიაჩნია რა იგი თავისი ეროვნული უფლებების დამცველად. მშვიდობის ძალები იზრდებიან და ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს მათ. (საკდესი).

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲡᲠ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

აბორიგელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ლატვიის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა რძის დამზადებისა და შესყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმები ვადამდე შეასრულეს 101 პროცენტით, აზერბაიჯანის სსრ — 101 პროცენტით, ტაჯიკეთის სსრ — 107 პროცენტით და თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა — 143 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 36 ათასი ტონა, აზერბაიჯანის სსრ — 5 ათასი ტონა, ტაჯიკეთის სსრ — 2,6 ათასი ტონა და თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 3 ათასი ტონა.

აღნიშნული რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს მიაღწიეს პირუტყვის რძის პროდუქტიულობის შედგომ გადიდებას. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 მაისამდე რძის საერთო წარმოება შარშანდელთან შედარებით გადიდდა თურქმენეთის სსრ კოლმეურნეობებში 88 პროცენტით, აზერბაიჯანის სსრ — 86 პროცენტით, ტაჯიკეთის სსრ — 85 პროცენტით და ლატვიის სსრ კოლმეურნეობებში — 8 პროცენტით.

ლატვიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმის

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია მშენებლობაზე

უკანასკნელ პერიოდში საქშახტმშენის ტრესტის ტყიბულშახტმშენის სამართველოს საბინაო მშენებლობის უბნის კოლექტივმა საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა და ახალი ხუთწლედის პირველი ხუთი თვის დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. ამ წარმატების მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სააგიტაციო-მასობრივმა მუშაობამ. აგიტატორთა უმრავლესობა საუბრებს მოხერხებულად უკავშირებს წარმოების წინაშე მდგომ ამოცანებს, რაზმავს მშენებლებს ყოველდღიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

— ჩვენი ბრიგადა საწარმოო დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს,—ასე დაიწყო მორიგი სააგიტაციო საუბარი აგიტატორმა, ნოვატორმა მშენებელმა დ. ბაღდავაძემ, — მაგრამ ამით დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვიძლია, შემდგომში უფრო მეტად უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება ახლებურად მუშაობას მოითხოვს. საჭიროა ვეძიოთ, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, მშენებლობაზე დავნერგოთ შრომის გაუმჯობესებული ინდუსტრიული მეთოდები, მინიმუმამდე დავიყვანოთ დანაკარგები, ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად. ჩვენს ბრიგადაში კი ბევრი რეზერვია გამოუყენებელი. აი, თვალი მოვაგლოთ იმ სამშენებლო მოედანს, სადაც ბრიგადას უხდება მუშაობა. უყაირათობის გამო ამ მოედანზე მრავალი ძვირფასი საშენი მასალა იკარგება. არ გვივარგა შემოსასვლელი სამანქანო გზები, რის გამო წვიმიან ამინდში ავტომანქანები ტალახში ეფლობიან. გზის ოღრო-ჩოღრო ადგილების ამოსავსებად ავტომანქანის მძღოლები აგურს ხმარობენ. ამ შემოსასვლელი გზის პატარა მონაკვეთზე ასობით დამტვრეული აგური გდია. თვითეული აგური კი 24 კაპიკი უჯდება მშენებლობას. გარდა ამისა, ზოგიერთი მშენებელი ყურადღებას არ აქცევს შესრულებული სამუშაოს ხარისხს. მაგალითად, რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი უხარისხოდ გააკეთა მშენებელმა გ. დოგუზოვმა. სარდაფის ფანჯარას, რომლის ზედა ნაწილი ახალი დაბეტონებულია, ბ. მაკაროვმა ხის ქარგილი გამოაძრო, რომ სხვა ადგილას გამოეყენებინა. ამის გამო ფანჯრის ზედა ნაწილი მნიშვნელოვნად დაზიანდა და შეკეთებას საჭიროებს. ჩვენს ბრიგადაში, — განაგრძო აგიტატორმა, — მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც არიან შრომის დისციპლინის დამრღვევნი. ამას წინათ გ. ზაქარიაძემ და უ. სანაკოევმა სამუშაოზე 12 წუთი დაიგვიანეს, ხოლო დ. ბრეგაძემ — 15 წუთი. მშენებლობაზე თვითეული წუთი ძვირფასია, ჯნდა ვიზრუნოთ შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვისათვის. შემდეგ აგიტატორმა ილაპარაკა ნოვატორი მშენებლების ნ. ირიციანისა და ფ. ზახაროვის მუშაობის მეთოდებზე.

ადგილობრივი საწარმოო ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ მასალაზე აგებულმა საუბარმა მსმენელები დიდად დაინტერესა. ბრიგადის წევრები ლაპარაკობდნენ მშენებლობის გაიაფების შესაძლებლობაზე, ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაზე. ახალგაზრდა მშენებელმა დ. ბრეგაძემ პირობა დადო, რომ იგი შემდეგში არასოდეს აღარ დაარღვევს დისციპლინას, იმუშავებს მუყაითად, იბრძოლებს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბრიგადის წევრებმა გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ უბნის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას იჩენს მშენებლობის მექანიზაციისათვის. კერძოდ, მშენებლებმა მოითხოვეს ამწე მექანიზმის „პიონერის“ დამონტაჟება.

მშენებლობაზე ასეთი მოწინავე აგიტატორები ერთეულები როდი არიან. მშენებელი ინჟინერი ო. გვენეტაძე უკვე რამდენიმე წელია აგიტატორია. იგი ყოველ საუბარს მჭიდროდ უკავშირებს მშენებელთა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. გულდასმით უსმენს მშენებლებს, უყურადღებოდ არ ტოვებს მათს არც ერთ საქმიან შენიშვნას.

ბეტონის ხსნარის დამამზადებელმა ცენტრალურმა მექანიზებულმა ქარხანამ აპრილში მუშაობა გააუარესა. იგი მშენებლობაზე გზავნიდა უხარისხო, ქვიშის მსხვილი ფრაქციის შემცველ ხსნარს. ასეთი ხსნარის გამოყენება მშენებლებს დიდად უძნელდებოდათ. ერთერთი სააგიტაციო საუბრის დროს მშენებლებმა აგიტატორ ო. გვენეტაძეს ამ ხელისშემშლელი მიზეზის შესახებ შესჩივლეს და დახმარება სთხოვეს. აგიტატორმა გამოარკვია, რომ ბეტონის დამამზადებელ ქარხანაში წინასწარ არ ცრიდნენ სილას, არ აცლიდნენ მსხვილ, უვარგის ფრაქციებს. ეს გამოწვეული იყო საცრელი მექანიზმების ცუდი მუშაობით, მცირე გამტარუნარიანობით. ეს საკითხი აგიტატორმა მშენებლობის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა. ამჟამად ხორციელდება ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ასევე გულისხმიერად ეკიდებიან მშენებელთა მოთხოვნებს აგიტატორები ვ. იაშვილი, ო. მუშკუდიანი და სხვები.

მშენებლობაზე მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა ფორმებს. აგიტაცია აქ კონკრეტული და მიზანდასახულია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოო საქმიანობასთან. თვითეული ლოზუნგი და პლაკატი, თვითეული „საბრძოლო ფურცელი“ მიზანში ხვდება, რაზმავს მშენებლებს დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებით აქ სწრაფად ავრცელებენ ნოვატორთა მუშაობის მეთოდებს, აცნობენ ყველა მშენებელს მოწინავე უბნის, ბრიგადისა და ცალკეული მშენებლის მიღწევებს.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც აქ სააგიტაციო მუშაობის გასაუმჯობესებლად გაკეთდა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მშენებლობაზე კვლავ გვხვდება სააგიტაციო მუშაობის შეუფასებლობის და პრაქტიკასთან, საწარმოო საქმიანობასთან მისი სუსტად დაკავშირების შემთხვევები. ზოგიერთი აგიტატორი რეგულარულად არ აწყობს საუბრებს, იშვიათად მიდის სააგიტაციო უბანში. მაგალითად, ქალაქის სასტუმროს მშენებლობაზე მომუშავე კალატოზთა ბრიგადის წევრები არ იცნობენ თავიანთ აგიტატორს. ბრიგადის ახალგაზრდა წევრები ა. სულამანიძე, ვ. დემირჩიევი, ე. კარანაძე, ს. კიტაძე, ა. მურადაშვილი, ო. ქორიძე ჩამუული არ არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხშირია მშენებლების მოცდენა ბეტონის ხსნარის, აგურის და ხის მასალის უქონლობის გამო. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს აგიტატორის მართალმა, მებრძოლმა სიტყვამ. მაგრამ აგიტაცია აქ მივიწყებულია.

მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია იშვიათად ისმენს პარტიულ კრებაზე აგიტატორთა ინფორმაციას, ქმედით დახმარებას ვერ უწევს მათ მუშაობის გაუმჯობესებაში. დიდი ნაკლოვანებები ნოვატორ მშენებელთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელებაში იმითაც აიხსნება, რომ პარტიული ორგანიზაცია ამ საქმეში ჯეროვნად ვერ იყენებს აგიტატორებს, კედლის გაზეთსა და „საბრძოლო ფურცლებს“.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივს ამ დღეებში გადაეცა საქართველოს თამბაქოს ტრესტისა და სასურსათო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სურათზე: წინა პლანზე (მარჯვნიდან მარცხნივ) — ცვლის ოსტატი ვ. სალარაძე ამოწმებს პაპიროსის დამტენის ზ. მატვეევას მიერ შესრულებულ სამუშაოს.

ფოტო შ. გოქაძისა.

წარმოებაში ინერგება ახალი ჯიშები

ზალკა. (საკ. კორ.). საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის წალკის დასაყრდენი პუნქტის ძირითადი ამოცანაა კარტოფილის ახალი ჯიშების გამოყვანა და რესპუბლიკაში გავრცელებული ჯიშების გაუმჯობესება. პუნქტმა შექმნა ისეთი მაღალმოსავლიანი და რეზისტალური ჯიშების ელიტური სარგავი მასალის მარაგი, როგორიც არის მაკესტიკი, ლორნი, საადრეო ვარდისფერი და ასურეთული.

დასაყრდენ პუნქტს გამოყვანილი აქვს სამი ახალი პერსპექტიული ჯიში, რომლებიც წელს კოლმეურნეობებში საწარმოო ჯიშთა გამოცდისათვის დარგო.

საყრდენი პუნქტი აგრეთვე მუშაობს სიმინდის ჯიშის შესარჩევად წალკის რაიონისათვის. დაკვირვება წარმოებს სიმინდის 8 ჯიშზე.

მასობრივი შერჩევის გზით პუნქტმა გამოიყვანა ლობიოს ახალი ჯიში, რომელიც წალკის რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 6-7 ცენტნერს იძლევა.

ფართოვდება თუთის ნარგაევები

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თუთის პლანტაციების გაშენებას. წარმატებით იქნა შესრულებული რგვის დავალებანი. პლანტაცია გაშენდა 30 ჰექტარზე. გარდა ამისა, სხვადასხვა ადგილას დაირგო 50.750 ძირი მაღალტანიანი თუთა.

მეთუთეობის განვითარებაზე სერიოზულად ზრუნავენ თეკლათის კალინინის სახელობის, ძველი სენაკის სტალინის სახელობის, ფოცხოს სტალინის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ამა წლის 29 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო უდასტურებს თავის პატივისცემას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში და საბჭოთა მთავრობის დავალებით პატივი აქვს განუცხადოს შემდეგი:

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ცნობილია, ამა წლის 22 აპრილს გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეკავშირეებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ალტგლინიკეს რაიონში, რომელიც ესაზღვრება ბერლინის ამერიკულ სექტორს, აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც გაუყვანია ამერიკის სამსახურს საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებამდე. როგორც ცხადყო გამოკვლევამ, რომელიც საბჭოთა ორგანოებმა განახორციელეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებთან ერთად, ამერიკის სამსახურს გაუთხრია დაახლოებით 600 მეტრი სიგრძის გვირაბი და დაუდგამს იქ აპარატურა და ხელსაწყოები, რათა ჩაეწერა და განუწყვეტლივ მოესმინა ტელეფონით ლაპარაკი, რაც წარმოებს კაბელებით, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბჭოთა ჯარებს, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა კაბელებით. ყველა ეს ფაქტი დადასტურებულია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის კორესპონდენტთა ცნობებში, რომლებსაც მიეცათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ აღნიშნული მიწისქვეშა ნაგებობა — ნაგებობა, დასავლეთ ბერლინში მყოფ ამერიკელ ხელისუფლებასაც მიეცათ წინადადება დაეთვალიერებინათ ეს ნაგებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხვრელის აღმოჩენის შემდეგ ერთი თვე გავიდა, ამერიკის სამხედრო ხელისუფლებს ევროპაში დღემდე არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი დასავლეთ ბერლინში ამერიკის ორგანოების შეუწყობარებელი მოქმედების გამოსაკვლევად და დამნაშავეთა დასასჯელად. თავის წერილში გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბისადმი ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ანკლზმა თავი აარიდა პასუხს საქმის არსზე, დაიმოწმა რა ის, რომ მან „ეს საკითხი მოახსენა ვაშინგტონს“.

საბჭოთა მთავრობა მიაქცევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას აღნიშნულ ფაქტებს და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის მხრივ მიიღებს საჭირო ღონისძიებებს ყველა გარემოების გამოსარკვევად, რომლებიც ეხება დასავლეთ ბერლინში ამერიკის სამსახურის მიერ ხვრელის მოწყობას გერმანიაში საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებამდე, რათა პასუხი აგებინოს დამნაშავეებს და გამორიცხოს მომავალში ამგვარი მოქმედების გამეორება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მაღლობელი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი, თუ იგი აცნობებს მას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს საბჭოთა მთავრობის ამ ნოტასთან დაკავშირებით“.

უკრაინის ხუთი ათასზე მეტი ახალგაზრდა პაპრიოტი კომკავშირული საგზურებით დონბასში გაემგზავრა

კიევი, 26 მაისი. (საკდესი). უკრაინის ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას. საწარმოთა, მშენებლობათა და დაწესებულებათა კომკავშირულ კომიტეტებში შედის ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების სულ უფრო მეტი განცხადება, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იშრომონ მეექვსე ხუთწლედის ახალმშენებლობებზე.

უკანასკნელ დღეებში ასობით კიეველი გაემგზავრა დონეცის აუზის შახტებში. გასამგზავრებლად ემზადება კიდევ 1.500 ახალგაზრდა პატრიოტი.

კომკავშირელები — მანქანათმშენებელ ქარხანა „ბოლშევიკის“ მუშები ნიკოლოზ ლომაჩინსკი, ვასილ კოროლი, ლეონიდე ლაუშნიკოვი და სხვები წერენ: „ვისწრაფვით ვიმუშაოთ იქ, სადაც საჭირო არიან მამაცი, ძლიერი ადამიანები. გთხოვთ კომკავშირული საგზურებით გაგვგზავნოთ დონბასში“.

დონეცის აუზის შახტებში და მშენებლობებზე მუშაობის სურვილი გაცხადა გორკის სახელობის ჩარხავტომატების ქარხნის, უკრაინის კაბელის ქარხნის, ქარხანა „კასანი ექსკავატორის“ და კიევის სხვა საწარმოების მრავალმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

დონბასში მუდმივ სამუშაოდ გაემგზავრა ხმელნიცკის ოლქის 1.200-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. შახტებში და მშენებლობებზე გაემგზავრა ათასობით ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე ვინიცის, როვნოს, ჩერნიგოვის და რესპუბლიკის სხვა ოლქებიდან.

დონბასის ქვანახშირის რაიონებში კომკავშირული საგზურებით სამუშაოდ უკვე გაემგზავრა 5.300 ჭაბუკი და ქალიშვილი. უკრაინის 17 ათასზე მეტმა ახალგაზრდა პატრიოტმა განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებში.

ცოცხალი, საინტერესო საუბარი

დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები დიდი ინტერესით ეცნობიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მოსახლეობაში გაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები მასწავლებლები ქ. ხორავა, ვ. თურმანაული, თ. ბუჩუკური და სხვები სისტემატურად აწყობენ ცოცხალ, მიმზიდველ საუბრებს, რომლებსაც უკავშირებენ ადგილობრივი ცხოვრების კონკრეტულ საკითხებს.

ამჟამად აგიტატორები ყოველდღიურად საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა უბნებში კოლმეურნეთა შორის იმყოფებიან და რაზმავენ მათ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ა. ხუციურაული,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მშვიდობისა და სოციალიზმის ინჯენერებისათვის

დღეს სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც ბელგრადში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ისტორიულ დეკლარაციას. ერთი წელი დიდი ხანი არ არის. მაგრამ იგი საკმარისი იყო, რომ ბოლო მოღებოდა ყოფილ დაშორებას, აღდგენილიყო ძველი შეგობრობა და ჭეშმარიტად ძმური გამხდარიყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა. ბელგრადის დეკლარაციამ შექმნა მტკიცე საფუძველი, რომელზეც ახლა წარმატებით ვითარდება და მტკიცდება თანამშრომლობა ორ სოციალისტურ სახელმწიფოს შორის. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხების მეგობრობა აგებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინური პრინციპების გრანიტის საძირკველზე.

დეკლარაციის ხელის მოწერის წლისთავი ემთხვევა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ისტორიის თვალსაჩინო მოვლენას — სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. იუგოსლავიის საზოგადოებრივობის ერთსულოვანი შეფასების მიხედვით, ეს ვიზიტი დიდი წვლილი იქნება ორივე ქვეყნის შშვიდობის, კეთილი ნებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საქმეში. საბჭოთა საზოგადოებრიობა აგრეთვე მხურვალედ მიესალმება იუგოსლავიის პრეზიდენტის ჩამოსვლას და დარწმუნებულია, რომ ეს შექმნის ორი მოძმე ხალხის მეგობრობის განმტკიცების ახალ პერსპექტივებს.

ბელგრადის დეკლარაციის პრინციპების განხორციელების შედეგები ასეთი რწმენის სრულ საფუძველს იძლევიან. ამ დეკლარაციაში გამოცხადებული რომელი პრინციპიც უნდა ავიღოთ, ყოველ მათგანზე შეიძლება ითქვას, რომ იგი განუხრელად არის გამოყენებული საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ყოველდღიურ პრაქტიკაში.

სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ჰატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ხალხთა შორის შშვიდობიანი თანაარსებობის აღიარება და განვითარება — ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია არა მარტო თავიანთ, არამედ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე იუგოსლავია იბრძვიან საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის, იმ დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის, რომლებსაც მათ უქმნიან რეაქციული ძალები, იბრძვიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვისათვის. საბჭოთა კავშირთან ერთად იუგოსლავია მხარს უჭერს მოთხოვნას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიენიჭოს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და გმობს იმათ, ვინც ხელს უშლის სხვა სახელმწიფოებს ითანამშრომლონ და ავაჭრონ ჩინეთთან. ავითარებს რა მეგობრულ ურთიერთობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, იუგოსლავიამ სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმება დადო მასთან.

ბელგრადის დეკლარაციამ აგრეთვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა იუგოსლავიასა და მის უახლოეს მეზობლებს — ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. როგორც ამ დღეებში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კონუ სტოიკამ განაცხადა, რუმინეთ-იუგოსლავიის ურთიერთობა ვითარდება მრავალმხრივ, მეგობრული ნაყოფიერი თანამშრომლობის ხაზით, თანამშრომლობისა, რომელიც შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს. იგივე შეიძლება ითქვას იუგოსლავიასა და პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის ურთიერთობაზე. ფართოვდება სოციალისტურ ქვეყნებს შორის ვაჭრობა, მტკიცდება კულტურული ურთიერთობა, ძლიერდება ურთიერთგაგება და შეგობრობა.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ორივე მთავრობა თანახმაა, რომ ყველა ხალხმა ახალი ღონისძიებანი განახორციელოს, რათა მიაღწიონ დადებით შედეგებსა და შეთანხმებებს ისეთ არსებით საკითხებზე, როგორიც არის შეიარაღების შემცირება და შეზღუდვა. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ მხურვალედ მოიწონა იუგოსლავიის საზოგადოებრიობამ. ეს გადაწყვეტილებანი, როგორც ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ ამბობს, „შეიძლება ახალი დადებითი ბიძგი იყოს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ლეტარგიას, რომელიც ახასიათებს მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ“.

შეაქებს რა თავისი წვლილი განიარაღების საქმეში, იუგოსლავიამაც მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს სამხედრო ბარჯები. წელს მისი სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს საერთო ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 11 პროცენტს, მაშინ როცა 1952 წელს სამხედრო ბიუჯეტი ამ შემოსავლის 22 პროცენტს აღწევდა.

საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას მიაჩნიათ, რომ შეიარაღების შემცირება და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ისეთი საერთაშორისო პრობლემის მოწესრიგებას, როგორიც არის გერმანიის პრობლემა. საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია იმის მომხრეები არიან, რომ გერმანიის საკითხი შეთანხმებით გადაიჭრას დემოკრატიულ საფუძველზე.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის თვალსაზრისი უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე ერთმანეთს ემთხვევა. როგორც პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ განაცხადა, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია მხარს უჭერენ „აქტიურ თანაარსებობას“ სოციალიზმისა და მთელ მსოფლიოში შშვიდობისათვის.

ახლა ყველა აღიარებს, რომ ბელგრადის დეკლარაციამ ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებას და დიდმნიშვნელოვანი წვლილი გაწია საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში.

რაც შეეხება იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, განვლილმა წელმა ცხადყო, რომ საჭირო და სწორია ამ ურთიერთობის ნორმალიზაცია, განმტკიცება და ყოველი ღონისძიებით განვითარება. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობები თანმიმდევრულად ახორციელებენ ორივე ქვეყნის ერთმანეთთან დაახლოების კურსს. როგორც პრეზიდენტმა ტიტომ თქვა, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა „თანასწორუფლებიანი ქვეყნების ურთიერთობაა, და, ბუნებრივია, საჭირო იქნება ურთიერთდახმარება, რამდენადაც სოციალიზმის აშენებაში ჩვენ ერთსა და იმავე მიზნებს ვისახავთ“.

ბელგრადის დეკლარაციის წლისთავზე საბჭოთა ადამიანები ქმაყოფილებით აღნიშნავენ მოძმე იუგოსლავი ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში. იუგოსლავია სწრაფად მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით. სულ ცოტა ხნის წინათ კი იგი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო ევროპაში. უცხოელი მონოპოლისტები განაგებდნენ მის სიმდიდრეს. უდიდეს მოგებას იღებდნენ სერბიელების, ხორვატების, სლოვენების, მაკედონელების, ჩერნოგორიელების — იუგოსლავიის ყველა ხალხის ექსპლოატაციით. ასეულ ათასობით იუგოსლავი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო და უცხოეთში ეძებნა ლუკმაპური.

იუგოსლავიის მუშები და გლეხები მხოლოდ სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდნენ საკუთარი სახლის ბატონ-პატრონნი. ბოლო მოეღო უცხოელი და „საკუთარი“ კაპიტალისტების ძალადობას, მეშპულური ნაგვრას. ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, ტრანსპორტი სახელმწიფოს საკუთრება გახდა. გლეხებმა მიწა მიიღეს. იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის (ახლა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი) ხელმძღვანელობით მშრომელებმა აღადგინეს ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე უკვე 1947 წელს გადაჭარბებულ იქნა. მაგრამ მეფის იუგოსლავიისაგან მემკვიდრეობად მიღებული მრეწველობა სუსტი და პრიმიტიული იყო. სახალხო იუგოსლავიას სჭირდებოდა მძლავრი მძიმე ინდუსტრია — სოციალისტურ საწყისებზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ბაზა.

1946-დან 1955 წლამდე იუგოსლავიაში 200-ზე მეტი სამრეწველო საწარმო აშენდა. წინწაიწია მანქანათმშენებლობამ, მეტალურგიამ, ენერგეტიკამ. 1955 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა. მანქანებისა და მოწყობილობის გამომვება 9-ჯერ და მეტად გაიზარდა. მარტო რადა კონჩარის სახელობის ქარხანა გამოუშვებს 1956 წელს იმდენ ენერგეტიკულ მოწყობილობას, რამდენიც მთელ ძველ იუგოსლავიაში იყო. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები — საავტომობილო, სატრაქტორო, საავიაციო, ქიმიური. ახლა წელიწადში 2 ათასზე მეტ ტრაქტორს უშვებენ.

სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგიის წარმოება. უკვე აგებულია 50-ზე მეტი ელექტროსადგური, შენდება მთელი რიგი დიდი ჰიდროელექტროსადგურები. ელექტროენერგიის წარმოება 3,7-ჯერ გადიდდა ომამდელთან შედარებით. იქმნება ერთიანი ენერგოსისტემა მთელი იუგოსლავიისათვის.

ახლა შავი მეტალურგია 3,5-ჯერ მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე 1939 წელს. როცა ახალი ქარხნების მშენებლობა დამთავრდება, ლითონს წარმოვა 6-ჯერ გადიდდება.

იუგოსლავები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი გემთმშენებელი მრეწველობის წარმატებებით. რიეკის, სპლიტის, პულის ვერფებში შენდება 10 ათას ტონაჟიდე წყალწყვის გემები, სრულდება საზღვარგარეთის დაკვეთები.

იუგოსლავიის ინდუსტრიულ განვითარებაზე ნათელ სურ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების შესახებ (იუგოსლავიაში 17.705 ათასი მცხოვრებია). 1939 წელს თვითეულ მცხოვრებზე მოდიოდა 15 კილოგრამი ფოლადი; 73 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 180 კილოგრამი ქვანახშირი, 56 კილოგრამი ცემენტი, 2,6 კილოგრამი ქაღალდი, 1955 წელს კი — 46 კილოგრამი ფოლადი, 247 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 530 კილოგრამი ქვანახშირი, 89 კილოგრამი ცემენტი, 4,1 კილოგრამი ქაღალდი.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა გამოიწვია მუშათა კლასის რიგების ზრდა, მნიშვნელოვანი ცვლილებანი სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში. თუ ომამდე მრეწველობის წილი ნაციონალურ შემოსავალში მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენდა, ახლა ამ წილმა 40 პროცენტს გადააჭარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ იუგოსლავია თავს აღწევს წინანდელ ჩამორჩენილობას და მზარდი მრეწველობის ქვეყანა ხდება.

ინდუსტრიალიზაცია ხოლო საქმე როდია. იუგოსლავია ეკონომიური სიძნელეებს აწყდება. მისი სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა ფაშვის განვითარებაში მრეწველობას და დაახლოებით ომამდელ დონეზეა. იუგოსლავია რამდენიმე წლის განმავლობაში იძულებულია უცხოეთიდან შეიტანოს მარცვლეული და სურსათი. ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის ეკონომიურ მდგომარეობაზე. სოფლის მეურნეობა ვერც მრეწველობას უზრუნველყოფს ნედლეულით.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიას შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს მას დაძლიოს ეკონომიური სიძნელეები. სწრაფად დიდდება ორივე ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის მოცულობა თუ შარშან საბჭოთა კავშირს, ჟურნალ „ეკონომსკა პოლიტიკას“ მონაცემებით, მე-14 ადგილი ეკავა იუგოსლავიის იმპორტში, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

ეკონომიურ საკითხებზე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების დროს, რომელიც შარშან შემოდგომაზე გაიმართა მოსკოვში, გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის საერთო წლიური საქონელბრუნვა უახლოესი სამი წლის განმავლობაში 70 მილიონი დოლარის დონეზე იქნება და რომ მომდევნო წლებში ორივე მხარე განახორციელებს ღონისძიებებს მისი შემდგომი გადიდებისათვის. დაიდო აგრეთვე შეთანხმება საქონლის გრძელვადიანი ურთიერთმიწოდების შესახებ.

საბჭოთა კავშირმა იუგოსლავიას შეღავათიანი პირობებით მისცა 30 მილიონი დოლარი სესხი 2 წლიური პროცენტით, აგრეთვე 54 მილიონი დოლარის საქონლის კრედიტი სსრ კავშირიდან 1956-1958 წლებში მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებლად. სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ურთიერთ სასარგებლო შეთანხმებანი. ყველა შეთანხმებიდ

მივბაძოთ მოწინავეებს, არ დავუშვათ ჩაის კრეფის აგროწესების დარღვევა

...სისხამ დილიდან გვიან ღამემდე ხანგრძლივი შრომაა სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში. კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ ზუგდიდელთა მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, შემჭიდროებულ ვადებში ბუჩქარეს პლანტაციის გასხვლა, მწკრივთა შორის დამუშავება, სასუქის შეტანა.

ახალი სეზონის დაწყებამდე კოლმეურნეებმა გაიარეს ხუთდღიური სემინარი, საფუძვლიანად შეისწავლეს ფოთლის კრეფის აგროტექნიკა. ამიტომ აქ არ არის კრეფის წესის დარღვევისა და ფოთლის გაუხეშების შემთხვევები. საუცხოო სანახავია იმ ბრიგადის პლანტაციები, რომელსაც მ. მხეიძე ხელმძღვანელობს. ეს იმის შედეგია, რომ აგრონომების ზუსტად დაცვით ჩატარდა ბუჩქების გასხვლა, ნათხნა, ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქების შეტანა. შარშან ამ ბრიგადამ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 2 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ბრიგადირმა წელს ზუგდიდელთა მოწოდების პასუხად იკისრა ჰექტარზე მიღებოს 4.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

მოწინავე ბრიგადამ რაიონში პირველმა დაიწყო ფოთლის კრეფა. ბუჩქების ვეგეტაცია ნორმალურია, ფოთოლი უხვად შემოვიდა, ბრიგადის წევრები ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. მაისის გეგმა უკვე გაანაღდეს. მოწინავე მეჩაიეები ლ. კახიანი, გოგუა და ქეთო ურიდიები იმისათვის იბრძვიან, რომ 0,4 ჰექტარზე მიიღონ 2.500 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ათასი კილოგრამისა. ეწრელმა კოლმეურნეებმა 8 სამუშაო დღეში უკვე მოკრიფეს 9 ათასი კილოგრამი ჩაი. მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

ბუჩქის სანიმუშოდ მოვლისა და გაფაზისუფლებელი კრეფის დანერგვით რაიონში სახელი გაითქვა სოფელ ...ოდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლურმა ბ. ვაშაკიძემ. იგი სეზონის დაწყების პირველი დღიდანვე კრეფის ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს. პირადად მერგოლური დღეში კრეფს 35 კილოგრამ ჩაის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 12 კილოგრამისა.

ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვას ჩაის მოსავლიანობის გადიდების, ჩაის კრეფისა და გადამუშავების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ... ვაშაკიძის რგოლის წევრები მოწონებით შეხვდნენ. მათი პირობაა 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 5.400 კილოგრამი ფოთოლი და გეგმას 2.500 კილოგრამით გადაჭარბონ. ასევე ნაყოფიერად მუშაობს ... ბრიგადა, რომელსაც გ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფელ ...ანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის ყველა შესაძლებლობას არ იყენებენ. მობილიზებული არ არის მთელი მუშახელი, არ წარმოებს განუწყვეტელი კრეფა. ვხვდებით კრეფის აგროწესების უხეშ დარღვევასაც. 26 მაისს მეორე ბრიგადის პლანტაციებში გ. კოხრეიძე, ლ. ხაბეიშვილი, თ. კოხრეიძე და სხვები — სულ 30 კოლმეურნე — ფოთოლს კალთაში კრეფდნენ. გარდა ამისა, კრეფდნენ ბუჩქის მხოლოდ შუა ნაწილს, ნაპირები კი მოუკრეფავია და ფოთლები გაუხეშებულია.

— რა ვქნათ, არ გვეგონა, რომ ფოთოლი ასე უხვად შემოვიდოდა, ამიტომ კალათები საჭირო რაოდენობით ვერ მოვიმარაგეთ, — გულდამშვიდებით აცხადებს ბრიგადირი მ. ვაშაკიძე. სამწუხარო ის არის, რომ ბრიგადირის აზრი გაიზიარა კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა ბ. ვაშაკიძემ. იგი შეურიგდა იმ ფაქტსაც, რომ ჩაის ფოთოლი ტომრებით მიაქვთ მიმღებ პუნქტამდე.

ფოთლის კრეფის საქმეში უხეშ დარღვევებს ვხვდებით აგრეთვე სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის დაუდევრობის შედეგად მოუმზადებელი შეხვდნენ ფოთლის ნედლეულის დამზადებას. ფოთოლი ყველგან კარგად არის შემოსული, ხოლო საკრეფად კალათები საკმაო რაოდენობით არა აქვთ. პლანტაციაში მისასვლელი გზებიც მოუწყობელია. ეს პირველ რიგში ითქმის მეორე ბრიგადისათვის (ხელმძღვანელი გ. ვაშაკიძე) მოსავლელად მიჩენილ ჩაის პლანტაციაში მისასვლელი გზის შესახებ. ამით ფოთლის დროულად გადატანა ფერხდება. კოლმეურნე ო. შუბლაძე ფოთოლს სისტემატურად კალთაში კრეფს, აგროწესების ასეთ უხეშ დარღვევას აგროტექნიკოსი ვ. შუბლაძე გულგრილად ურიგდება.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდად უვლიან ახალგაშენებულ პლანტაციებს. სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ 15 აპრილამდე 12 ჰექტარ პლანტაციაში უნდა შეეტანათ სასუქი. ფაქტიურად ეს სამუშაო ჩაშალეს. წელს გაზაფხულზე უნდა გაეშენებინათ 2 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მაგრამ ამ დავალების შესასრულებლად თავი არ შეიწუხეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. კვანტალიანს ეს არ აღელვებს. ყველაფერი რიგზე არც ზედა ეწრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშია. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ხაბეიშვილს კოლმეურნეთა სახელით ნაკისრი ჰქონდა წელს გაზაფხულზე გაეშენებინა 4 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. მაგრამ ეს სამუშაო არც კი გახსენებია.

სამტრედიელებმა წელს სერიოზული ვალდებულება იკისრეს. მათი პირობაა მოკრიფონ და გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ამ ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ წულუკიძელებთან. ეს კარგია, მაგრამ მათი სიტყვა საქმედ რომ იქცეს, ამისათვის საჭიროა ფოთოლი იკრიფებოდეს ყოველდღიურად განუწყვეტლივ და არ იქნას დაშვებული აგროწესების დარღვევა.

შ. ჭოჭუა,
ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

ამ დღეებში გაიმართა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილი მოხსენებები შეეხებოდნენ ჰიდრომეტეოროლოგიის აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, აქვთ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ავიაციისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჭირაქაძის მოხსენება მიძღვნილი იყო გამოჩენილი რუსი მეცნიერის, კლიმატოლოგის ფუძემდებლის ა. ვოეიკოვის საქართველოში მეცნიერული მოღვაწეობისადმი.

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატების კ. პაპინაშვილის, ვ. გოგინეიშვილის და ი. ქურდიანის მოხსენებები შეეხებოდა მნიშვნელოვანი ნალექების და სეტყვის წარმოშობის აეროსინოპტიკურ პირობებს და კლიმატოლოგიის ზოგიერთ საკითხს. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. კვარაცხელიას და ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ს. გუნიას მოხსენებები მიძღვნილი იყო ატმოსფეროს მაღალი ფენების ფიზიკურ თვისებათა შესწავლისადმი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ცუცქირიძის და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატების შ. ცერცვაძის, ვ. სვანიძის, ნ. სტოლიპინის და მეცნიერ თანამშრომლთა შ. მოსიძის, მ. ზახაშვილის, ე. დვალის, კ. ცომაიას და ვ. პაკლიას მოხსენებები შეეხებოდა სინოპტიკური ნეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიისა და მზის რადიაციის საკითხებს.

სესიაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები ა. მალატ-ზადე, ა. ეიუბოვი და სხვ.

სანიგვარული კულტურის ამაღლებისათვის

თბილისის სანიტარული კულტურის სახლის ამოცანაა დაეხმაროს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მშრომელთა სანიტარული კულტურის დონის ამაღლებაში, სხვადასხვა დაავადებათა გამომწვევი ბიზეზებთან ბრძოლაში, ასწავლოს მოსახლეობას, თუ როგორ დაიცვას თავი ამა თუ იმ დაავადებისაგან.

ამ მუშაობას სახლი ახორციელებს სხვადასხვა მეთოდით: აწყობს ლექცია-საუბრებს, ხმამაღლა კითხვას, კურსებს, ფოტოგამოფენებს, უშვებს პლაკატებს, პოპულარულ ბროშურებს და სხვ.

სახლთან არსებული სანიტარული კულტურის თეატრს სპექტაკლები აგებული აქვს ... ლურ სანიტარულ-საგანმანათლებლო თემაზე (პირადი, შრომის, საყოფაცხოვრებო ჰიგიენა, ინფექციური დაავადებათა პროფილაქტიკა და სხვ.). ყოველ სპექტაკლს წინ უძღვის „შესაფერი პოპულარული ლექცია, რომლებსაც კითხულობენ სახლთან არსებული სალექციო ბიუროს წევრები — პროფესორები კ. ვეფხვაძე, პ. ბუაჩიძე, გ. მარუაშვილი, ე. გოგორნიძე, ი. მენთეშაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები თ. გოკიელი, ი. ჩოხელი, ზ. კოზირიძე, რ. ქარცივაძე, გ. ბახტაძე, პ. ჩავლეიშვილი და სხვ.

ლექციების თემები მრავალფეროვანია: ტუბერკულოზი და მისი პროფილაქტიკა, კიბო და მისი წყურნალობა, დიზენტერია და მისი პროფილაქტიკა, ალკოჰოლიზმთან ბრძოლა, მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდა და სხვ.

სანიტარული კულტურის თეატრი სპექტაკლებს მართავს როგორც ქალაქის კლუბებში, ისე რესპუბლიკის რაიონებში.

ამჟამად თეატრი სპექტაკლებს ძირითადად უჩვენებს პლეხანოვის სახელობის კლუბში, ხოლო ახალი სეზონიდან გადავა თავის შენობაში, რომლის რეკონსტრუქცია ამჟამად მიმდინარეობს.

ტ. ვაჭარაძე.



სურათზე: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. კუჭავა სპარტაკიადაში გამარჯვებულ თბილისის გუნდის წარმომადგენელს გ. რცხილაძეს გადასცემს დროშასა და თასს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

დამთავრდა საქართველოს სსრ სპარტაკიადა

თბილისის სტადიონებზე, სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში, საცურავ აუზებსა და კორტებზე, სასროლეთებზე, ველოდრომზე და გზატკეცილებზე 5 დღეს გრძელდებოდა მიმდინარე სასპორტო სეზონის გრანდიოზული ასპარეზობა — საქართველოს სსრ სპარტაკიადა.

საქართველოს სსრ სპარტაკიადის მსვლელობის დღეებში დამყარებულ იქნა 18 რესპუბლიკური რეკორდი. აქედან ძალოსნობაში — 4 რეკორდი, ცურვაში — 8, მძლეოსნობაში — 3, ტყვიის სროლაში — 3 რეკორდი.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯეგრებში ოსტატის ნორმა პირველად შეასრულა 13-მა კაცმა.

პირველ ჯგუფში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა თბილისის სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც 99 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის გუნდი (66 ქულა), მესამეზე — აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექტივი (60,5 ქულა), მეოთხეზე — ქუთაისის გუნდი.

მეორე ჯგუფში თავი ისახელა ქ. ფოთის სპორტსმენთა კარგად მომზადებულმა გუნდმა (70 ქულა). სამხრეთ ოსეთის გუნდი 61,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი დაიკავა ქ. გორის გუნდმა (59,5 ქულა).

მესამე ჯგუფში ყველაზე უკეთესი შედეგი ზუგდიდის გუნდმა მოიპოვა. ზუგდიდელმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს ველოსპორტში, მძლეოსნობაში და ტანვარჯიშში. ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს კახპელმა მოჭიდავეებმა, ძალოსნობაში — ახალციხის შტანგისტებმა.

მთელ რიგ მიღწევებთან ერთად გამოვლინდა ნაკლოვანებები. ეს პირველ რიგში ითქმის ველოსპორტზე და მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაზე.

გუშინ თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ სპარტაკიადის შემაჯამებელი საღამო და საზეიმო დახურვა.

აქ იყვნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ჩემპიონები, რეკორდსმენები, სპარტაკიადის მონაწილენი.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სახარულიძემ. სპარტაკიადის მსვლელობისა და საბოლოო შედეგების შესახებ მოხსენება გაკეთა თავადარმა მსაჯმა ვ. სამსონაძემ.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუჭავამ. მან სპორტსმენებს უსურვა წარმატების მოპოვება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში.

მ. კუჭავამ პირველ ჯგუფში გამარჯვებულ ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენელს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. რცხილაძეს სიზეიმოდ გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დროშა და ბროლის დიდი თასი. მეორე ჯგუფში გამარჯვებულ ფოთის სპორტსმენთა კოლექტივს გადაეცა თასი.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომები გადაეცა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფში სპორტიო აღგილებზე გამოსულ სპორტსმენთა კოლექტივებს. სიგელებით დაჯილდოებული არიან ის ორგანიზაციები და პირები, რომლებმაც სპარტაკიადას კარგი მომსახურება გაუწიეს.

მთავარი მსაჯი ალმის დასაშვებად უწმობს სპორტის დამსახურებულ ოსტატებს მ. ჯუღელს და ო. ქორქიას. ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საქართველოს სსრ სპარტაკიადა დახურულია.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყო სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრების უკანასკნელ ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრება.

საერთო ინტერესს იწვევდა ლიდერების გაფრინდაშვილისა და მატვეევას გადადებული პარტიის დამთავრება. მძაფრი ბრძოლის შემდეგ თანაბარ პოზიციაში გაფრინდაშვილმა მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ მატვეევამ არ მიიღო. რამდენიმე სვლის შემდეგ მატვეევა იძულებული გახდა თვითონ შეეთავაზებინა ყაიმი. გაფრინდაშვილი დათანხმდა.

სტრანდსტრემი და სილვესტრი პარტიის გაუთამაშებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ნეიდორფსკაიამ მოუგო ვაინსტეინს.

ამრიგად, უკანასკნელი პარტიის შედეგის მიუხედავად, გაფრინდაშვილს, რომელსაც 14 შესაძლებლიდან 11 ქულა აქვს, უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი. ტოგონიძესა და მატვეევას აქვთ ცხრა-ცხრა ქულა, ტახოტიროვას — 8,5 ქულა.

ლიტერატურა და ხელოვნება

ინჟინერთა ინსტიტუტის დრამატული კოლექტივი

თითქმის 20 წელია არსებობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დრამატული კოლექტივი.

პირველ ხანებში დრამატული კოლექტივი დგანდა ერთმოქმედებიან პიესებს, სკეტჩებსა და მინიატურებს. დიდი ფორმის დრამატურგიული ნაწარმოები სცენის მოყვარეთა კოლექტივმა პირველად 1938 წელს წარმოადგინა რუსულ ენაზე. ეს იყო ძმების ტურისა და შეინინის პიესა „პირისპირ“. სპექტაკლებში სტუდენტებთან ერთად როლებს ასრულებდნენ პროფესორ-მასწავლებლები და ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეები.

დრამატულმა კოლექტივმა მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. ქართულ ენაზე მათ დადგეს კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“ და სხვ., რუსულ ენაზე — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დანაშავენი“, ო. ბალზაკის „ევგენია გრანდე“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“, ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, ა. ბარიანოვის „ომამ მხარეში“, ე. პეტროვის „მშვიდობის კუნძული“ და სხვ. ბევრმა დადგმამ მაღალი შეფასება მიიღო მხატვრული თვითმოქმედების თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკურ და საქალაქო დათვალიერებებზე.

ამ სპექტაკლების წარმატებას ხელს უწყობდა ისიც, რომ მათ დგამდნენ ცნობილი თეატრალური მოღვაწეები გ. ტოვსტონოგოვი, ა. რუბინი, შ. მესხი, ს. დრაგო, ი. ბოდროვი, პ. დოლეანოვი და სხვ.

ინგლისელი გამოჩენილი მწერლის ბერნარდ შოუს დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით დრამატულმა კოლექტივმა განახორციელა „პიგმალიონის“ დადგმა (დადგმის კონსულტანტია თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარი რეჟისორი შ. მესხი).

ამას წინათ სცენისმოყვარეებმა თავისი ეს პრემიერა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს.

სცენისმოყვარეთა სპექტაკლნი დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

ბ. აბესაძე.

ფოთის თეატრის გასტროლები

ტყიბული. (საკ. კორ.). ათ დღეს იმყოფებოდა აქ საგასტროლოდ ფოთის თეატრი. თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები — ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, გ. ქელბაქიანის „ვანა ეს სიყვარულია?“, ა. ცაგარლის „ცომბრიელი“, ვოინიჩის „კრაზანა“, ს. კალანდარიშვილის „ადამიანის ღირსება“ და სხვ.

თეატრის დადგმებს ნეშატი მაყურებლები დიდი მოწონებით შეხვდნენ.

ახალი სპექტაკლი

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ბ. როზოვის პიესა „ხალისიანი მეგობრები“.

პიესა დადგა რეჟისორმა შ. ბასიაშვილმა, ხელოვნურად გააფორმა დ. ბალარჯიშვილმა, მუსიკა დაუდვინა შ. კიკვიძეს.

შემსრულებელთაგან განსაკუთრებული ნოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდა მსახიობებმა ასმათ ქანდაურიშვილმა და ლიანა მირიანაშვილმა.

თეატრი დასადგმელად ამზადებს პიესებს „ჰეპოს“ და „მაია წყნეთელს“.

ქართული ქსოვილები

ერთ დროს თბილისისა და ქუთაისის საფარლო დუქნებში, სასოფლო ბაზრებზე ნოქრებს ხმა ჰქონდათ ...ახლეჩილი შორეული მხარეებიდან მოტანილი, უცხოური ქსოვილების ...ებით. აქებდნენ ინგლისურ მაუდს, ...ლონისა და კრაკოვის ჩითს, ლიონის ...ბრეშუმს, ჩინურ ფარჩას. დუქნების ...ინ მდგარი ბაზრები ამაყად იგრეხ...ნენ ულვაშებს, თავს იწონებდნენ მუშტართან და ამბობდნენ: ნახეთ ...ადურია, ნახეთ რა საქონელია!

მაშინ საქართველოს საფეიქრო მრეწველობა არ ჰქონდა.

შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული სოვდაგრები და ადგილობრივი ვაჭრები სერავდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ჩალის ფასად იგდებდნენ ხელში საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართულ აბრეშუმის ...ალა და თუშურ მატყლს, საზღვარგარეთ მიეზიდებოდნენ, იქიდან ჩამოტანილ ფარჩასა და შალს კი მამასისხლად ყიდდნენ მოსახლეობაში.

ალბათ ასეთივე მისიით იყო ჩამოსული მთაში ორი უცხოელი — ინგლისელი და ფრანგი, რომლებსაც სადღაც ფერდობზე შეფენილ თავის ცხვრის ფარასთან წააწყდა მოხევე ...ფუკმსი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც დიდად გააოცა ისინი ფრანგულის ცოდნით.

* * *

წალმა შებრუნდა ცხოვრება, ოქტომბრის შუქი შემოიჭრა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი ტექნიკით აღჭურვილი საფეიქრო მრეწველობის მძლავრი კერები: თბილისში, ქუთაისში, გორში.

ამ მრეწველობის პირველი მერცხალი ქუთაისის მაუდის ფაბრიკა იყო, რომლის მოწყობილობა რუსეთის პროლეტარიატმა საჩუქრად გამოუგზავნა ქართველ ფეიქრებს. შემდეგ ამუშავდა აბრეშუმის ფაბრიკა თბილისში. გამოჩნდა ახალი საფეიქრო საწარმოს კორპუსები დიდუბეში — მწყობრში ჩადგა მაუდ-კამოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“ (ახლა კომბინატი). საექსპლოატაციოდ გადაეცა ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი აბრეშუმკომბინატი ქუთაისში, უკანასკნელ ხანებში მოქმედ საწარმოთა რიგებს შეემატა გორის ბამბეულის კომბინატი.

შეიქმნა მაღალკვალიფიციურ ფეიქართა დიდი არმია, აღიზარდნენ სახელოვან სპეციალისტთა ეროვნული კადრები, რომლებმაც პირველი საწარმოო წრთობა მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოსა და სხვა ქალაქების საფეიქრო ფაბრიკებში მიიღეს.

საქართველოს ფეიქრები ახლა აბრეშუმს, შალს, ჩითსა და ტილოს ქსოვენ. გორულ ხილთან ერთად ახლა სახელი გაითქვა გორულმა მიტკალმა.

თბილისისა და ქუთაისის საწარმოებს ადგილობრივი ნედლეული აღარ ჰყოფნით. აბრეშუმის პარკით, ხელოვნური აბრეშუმის ბოჭკოთი, მატყლითა და ბამბით მათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეები ამარაგებენ.

მომხმარებლებს დიდად მოსწონთ მსუბუქი, ლამაზი ფერის კოხტად მოხატული ქართული აბრეშუმის საკაბეები, ვისკოზის საპერანგეები, შალის საკოსტიუმეები, მაუდის საპალტოები, ბამბისა და ტილოს ქსოვილები.

როგორც ქარხანაში კონსტრუქტორები შემოქმედებითად ქმნიან ახალ მანქანებს, ისე საფეიქრო ფაბრიკებში დესინატორები დაუცხრომლად ეძიებენ ახალი სახის ქსოვილებს, რომლებსაც ისინი ჯერ ქაღალდზე ხაზავენ, შემდეგ კი მათს შთანაფიქრს ქსოვილად აქცევენ მქსელავები და მქსოველები. ასეთი ძიებით შალის ქსოვილის ბევრი ახალი ნიმუში შექმნა თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის დესინატორმა — თინა ჯიშკარიანმა, ხოლო აბრეშუმისა — რესპუბლიკის ცენტრალური საფეიქრო ლაბორატორიის დესინატორმა მაყვალა მამისაშვილმა.

ყოველ ახალ ქსოვილში მხატვარ-ფეიქრების შრომაც არის ჩაქსოვილი. ისინი ლამაზ იერსა და სასიამოვნო გარეგნობას აძლევენ ქსოვილს, უფრო სასოვანსა და მიმზიდველს ხდიან მას.

* * *

არასოდეს იმდენი ახალი სახის ქსოვილი არ დაუმზადებია საქართველოს აბრეშუმის მრეწველობას, რამდენსაც წელს გამოუშვებს. წინათ დიდ მიღწევად ითვლებოდა, თუ წელიწადში 2-3 ახალი არტიკულის ქსოვას აითვისებდნენ. ახლა კი თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოებმა უნდა მოგვცენ თერმეტი ახალი არტიკულის ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილები. მათი დიდი ნაწილი საკაბეებად არის განკუთვნილი, დანარჩენი კი — მამაკაცის ზედა საპერანგეებად.

ნატურალური აბრეშუმიდან ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი უკვე ამზადებს მეტად ნაზ, ძვირფას ქსოვილს კრეპ-შიფონს, აქ აითვისებენ კრეპ-საბჭოთა და კრეპ-ელეგანტის გამოშვებას, ხოლო ხელოვნური აბრეშუმიდან — ტრიკო „ბუკლეს“, პანამასა და ქიშმირს, რომელიც ძირითადად განკუთვნილია მოსწავლე გოგონების ფორმისათვის.

მომდინარე წელს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ასათვისებელი ახალი არტიკულის ქსოვილები თითქმის მთლიანად ხელოვნური აბრეშუმისა იქნება. მათ შორის 50 ათასი მეტრი საკაბე ფაი-კრეპი, 85 ათასი მეტრი კრეპ-ალტაური, 125 ათასი მეტრი მამაკაცის საპერანგე.

ეს ქსოვილები სადა, მოუხატავია, მათი მხატვრული სახვნება, სილამაზე მიღწეულია არა მოჩითვით, არამედ ქსოვილის ახალი სტრუქტურით — ძაფების ხლართების შეხამებითა და განლაგებით.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა აბრეშუმის ორი ქსოვილი — „დარაია“ და საზაფხულო საკოსტიუმე ტილო „ქუთაისი“, რომლებსაც წელს გათვალისწინებული არტიკულების დამატებით გამოუშვებს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობა.

ქართული აბრეშუმის ქსოვილთა უდიდესი ნაწილი მოძმე უკრაინაში მიდის. იგი იყიდება კიევისა და ხარკოვის, ლვოვისა და ოდესის, აგრეთვე აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქებსა და სოფლებში. თბილისური აბრეშუმის ქსოვილებიდან ძვირფას კაბებსა და მამაკაცის ზედა საპერანგეებს კერავენ მოსკოვისა და სტალინგრადის ფაბრიკები.

წელს პირველ კვარტალში თბილისელმა აბრეშუმმქსოველებმა საგრძნობლად გაუმჯობესეს ქსოვილის ხარისხი, გაზარდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, და მომხმარებელმაც კარგად დააყოვნა სათანადოდ შეეფასებინა მათი შრომა. ქ. სტანისლავის საოლქო სავაჭრო ბაზიდან მარტის დამლევს მიღებულ წერილში ნათქვამია: „თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნაწარმს არასოდეს არ ჭქონია ისეთი წარმატება, როგორც ბოლო დროს, ამ ქსოვილის უკლებლივ მთელი პარტია, რომელიც საავჭრო ორგანიზაციებმა მიიღეს, პირველსავე დღეს გაიყიდა, მაშინ როცა ამ ფაბრიკიდან ჯერ კიდევ შარშან მიღებული ბევრი სხვა საქონელი უმოძრაოდ დევს“.

ამ ფაბრიკის ნაწარმს მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურმა საასორტიმენტო კაბინეტმაც, რომელმაც აღნიშნა წინა წლებთან შედარებით დიდი წინსვლა კრეპ-დეშინისა და კრეპ-ჟორჟეტის გაფორმებაში. მოწონებულია მხატვრებისა და კოლორისტების ნამუშევარი, განსაკუთრებით მხატვარ ა. ნარიმანაშვილისა და კოლორისტ ვ. კვაღინაძის მიერ შესრულებული ქსოვილთა სურათები.

* * *

ყოველწლიურად ორჯერ ხდება ახალი ქსოვილების გასინჯვა. მას ესწრებიან ვაჭრობის, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აი ასეთი ავტორიტეტული კომისიის წინაშე უნდა ჩააბაროს გამოცდა ქსოვილმა. შალეულის ნიმუშების ერთ-ერთ უკანასკნელ გასინჯვაზე, რომელიც მოსკოვში მოეწყო, მაღალი შეფასება დაიმსახურა ნახევრად უხეში მატყლის საპალტოემ (არტიკული 2310). ეს საპალტოე თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ფეიქართა კოლექტიური შრომის ნაყოფია. იგი მკვიდრია, მოსდენილი შესახედავია. მისი პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ შარშან, წლის ბოლოს დაამზადეს.

ფართოდ გაითქვა სახელი ამ კომბინატის წმინდა მატყლის ისეთმა ქსოვილებმა, როგორიც არის საკოსტიუმე „კოლხიდა“, „რუსთაველი“, საპალტოე დრაფი „დედაქალაქური“ და სხვ. მნიშვნელოვნად ამაღლდა ქსოვილების ხარისხი, გაუმჯობესდა მისი გამოყენა. თბილისური შალი გარდა იმისა, რომ გამძლეა, ლამაზიც არის.

წელს კომბინატი გამოუშვებს ცამეტი სახის ქსოვილებს. აღსანიშნავია, რომ აქედან ცხრა შექმნილია ადგილობრივ. მესამე კვარტალში მოიქსოვება ახალი ნაწარმი ქალის საპალტოე „რბილი დრაფი“. წლის ბოლომდე სავაჭრო მაღაზიები 40 ათას მეტრ ასეთ ქსოვილს მიიღებენ.

მასობრივად დამზადდება აგრეთვე ახალი საკოსტიუმე ქსოვილი — შევიოტი, რომელიც მოიქსოვება ნახევრადუხეში მატყლისა და ბამბის ნართისაგან. წელს გამოშვებული იქნება მილიონ მეტრამდე შევიოტი.

ახალი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზრდება შალეულის წარმოება. თუ 1956 წელს გათვალისწინებულია 4 მილიონი მეტრი შალის მოქსოვა, ხუთწლედის ბოლოსათვის — 1960 წელს ეს ციფრი 5 მილიონს მიაღწევს.

* * *

არსებობის მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ყველაზე ახალგაზრდა დარგი — ბამბეულის ქსოვილების წარმოება. გორის კომბინატის პირველი რიგის ამუშავებით მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ამ მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს. ფეიქართა ახალგაზრდა კოლექტივს ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ გამოუვლინებია თავისი შესაძლებლობანი, მაგრამ უკვე იგრძნობა მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგები — მაღაზიებში უხვად გამოჩნდა გორული ნარმა და მადაპოლამი თეთრეულისა და საცვლებისათვის, საკაბე ჩითი და მარკიზეტი, აგრეთვე სატინი, ტექნიკური დანიშნულების ქსოვილები და ა. შ.

გორელი მხატვრები გულდასმით ეცხობიან

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის შეთანხმებანი საჰაერო გვირთზიდვისა და სამოქალაქო ავიაციის დარგში გექნიკური თანამშრომლობის შესახებ

ტირანა, 1 ივნისი. (საკდესი). მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს დელეგაციასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნიკაციების სამინისტროს დელეგაციას შორის, და სსრ კავშირის მთავრობასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1955 წლის 6 დეკემბრის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, 30 მაისს ტირანაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო ტვირთზიდვისა და ურთიერთმომსახურების შესახებ, აგრეთვე შეთანხმებას სამოქალაქო ავიაციის დარგში ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრის მეგობრობის ვიზიტი სპლიტში

სპლიტი, 31 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს იუგოსლავიის ნავსადგურ სპლიტში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრა შავი ზღვის ფლოტის სარდლის ადმირალ ვ. ა. კასატონოვის მეთაურობით. ესკადრის შემადგენლობაში არიან კრეისერი „მიხეილ კუტუზოვი“ და საესკადრო ნაღმოსნები „ბესსმენნი“ და „ბეზუკორიზნენი“.

9 საათისათვის იდგილობრივი დროით, როცა ჰორიზონტზე გამოჩნდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრა, სპლიტის ნავსადგურის მისადგომებზე შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებნი.

9 საათია. საბჭოთა კრეისერი 21 სროლით აძლევს ერთა სალუტს. სალუტს უპასუხებს საარტილერიო ბატარეა სუსტეპანის კონცხიდან. ამის შემდეგ საბჭოთა კრეისერი 17 სროლით სალუტს აძლევს იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალს. საარტილერიო ბატარეა სუსტეპანის კონცხიდან აძლევს საპასუხო პირად სალუტს შავი ზღვის ფლოტის სარდალს.

კრეისერი „მიხეილ კუტუზოვი“ მისადგომს მიადგა. საბჭოთა მეზღვაურების ზუსტი მოქმედება შეკრებილთა აღტაცებას იწვევს. საესკადრო ნაღმოსნების მიდგომა კრეისერის გვერდით აგრეთვე უნაკლოდ და სწრაფად შესრულდა.

სპლიტში ჩასვლისას შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ვ. ა. კასატონოვმა ადმირალებისა და უმაღლესი თანამდებობის ოფიცრების თანხლებით ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს იუგოსლავიაში ფ. ნ. გრიაზნოვს, რომელიც სპლიტშია, რაიონული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალაქ სპლიტის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარეს და იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალს ადმირალ მატე ერკოვიჩს.

სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა იუგოსლავიაში ფ. ნ. გრიაზნოვმა, რაიონული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ და ქალაქ სპლიტის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ, აგრეთვე იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა ადმირალმა მატე ერკოვიჩმა საპასუხო ვიზიტები გაუკეთეს შავი ზღვის ფლოტის სარდალს ადმირალ ვ. ა. კასატონოვს კრეისერზე.

საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის

დაიწყო კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის გამო

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი გი მოლეს მთავრობის საერთო პოლიტიკის გამო.

ეროვნული კრების ბიუროში შეტანილია 15 ინტერპელაცია, რომელთა დიდი ნაწილი ეხება ალჟირს, მაროკოსა და ტუნისს, ამას გარდა, კამათში მონაწილეობისათვის ჩაეწერა პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფის 16 დეპუტატი.

კამათი, რომელიც გათვალისწინებულია სამი დღისათვის, საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს. დღეს, სხდომის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, ბურბონთა სასახლის წინ შეიკრიბა მრავალი პარიზელი. საზოგადოებისა და ჟურნალისტთა ტრიბუნები ხალხით გაიჭედა.

კამათი დაიწყო ინტერპელაციების ავტორთა სიტყვებით. მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებმა — პირველმა სამმა ორატორმა — გაილაშქრეს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ტუნისსა და მაროკოში, მათ გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ამ ორ ქვეყანას მინიჭებული აქვთ ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ მხრივ არ იყო განსაკუთრებული განსხვავება ყოფილ დეგოლელ დრონის, სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრის ანდრე მონტეილისა და „დამოუკიდებელი რესპუბლიკელის“ იზორნის სიტყვებს შორის.

მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით, კამათში გამოვლენ გი ნოლე, საგარეო საქმეთა მინისტრი კრისტიან პინო და მთავრობის სხვა წარმომადგენლები.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

სავლეთში იმ წრეების პოლიტიკა, რომლებსაც ჯერ ჯდეგ იმედი აქვთ სსრ კავშირის ეკონომიური განვითარება შეანელონ იმით, რომ ისპობენ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის უპირატესობას. არმანგომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო მოწყობილობა ტექნიკური თვალსაზრისით არ ჩამოუვარდება ამერიკის ნიმუშებს და რომ „ყოველთვის, როცა დასავლეთის ქვეყნები უარს ამბობენ მიჰყიდონ მოწყობილობა სსრ კავშირს, საბჭოთა კავშირის საკონსტრუქტორო ბიუროები იწყებენ მუშაობას და საჭირო მოწყობილობა გამოდის ქარხნიდან“.

„ეუზინ ნუველის“ სიტყვით, არმანგომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთი პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით სსრ კავშირში „ტექნიკური პროგრესის ფაქტორია“.

„ამრიგად, — წერს ჟურნალი, რომელიც ადგამებს არმანგოს დასკვნებს, — აკრძალული საქონლის სიები მთლიანად უსარგებლოა, მაგალითად, ჩარხების მიმართ. მთელ მოწყობილობას, რომელიც ამ სიებშია აღნიშნული, წარმატებით ამზადებენ სსრ კავშირში და იგი მაღალი ხარისხით გამოირჩევა“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

დაიწყო კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის გამო

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი გი მოლეს მთავრობის საერთო პოლიტიკის გამო.

ეროვნული კრების ბიუროში შეტანილია 15 ინტერპელაცია, რომელთა დიდი ნაწილი ეხება ალჟირს, მაროკოსა და ტუნისს, ამას გარდა, კამათში მონაწილეობისათვის ჩაეწერა პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფის 16 დეპუტატი.

კამათი, რომელიც გათვალისწინებულია სამი დღისათვის, საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს. დღეს, სხდომის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, ბურბონთა სასახლის წინ შეიკრიბა მრავალი პარიზელი. საზოგადოებისა და ჟურნალისტთა ტრიბუნები ხალხით გაიჭედა.

ინდოეთის აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგები

რომი, 31 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოაქვეყნა შემდეგი საბოლოო მონაცემები პროვინციული საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ. არჩევნები გაიმართა იტალიის ყველა ოლქში (გარდა სიცილიისა და ტრენტინო-ალტო-ადიჯისა, სადაც მარტო მუნიციპალური საბჭოები აირჩიეს).

კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა (როგორც ცნობილია, ამ პარტიებმა პროვინციული საბჭოების კანდიდატთა საერთო სიები წამოაყენეს, რის გამო შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რამდენი ხმა მიიღო თვითეულმა ამ პარტიამ ცალკე) მიიღეს — 8.395.341 ხმა, ანუ 35,1 პროცენტი (1951-52 წლების არჩევნებში ამ პარტიებმა მიიღეს ხმების 33,5 პროცენტი); სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 1.787.863 ხმა, ანუ 7, 47 პროცენტი (1951-52 წლებში 7,7 პროცენტი); რესპუბლიკურმა პარტიამ — 265.714 ხმა ანუ 1,11 პროცენტი (2,5 პროცენტი); ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ 9.296.428 ხმა ანუ 38,86 პროცენტი (36,2 პროცენტი); ლიბერალურმა პარტიამ — 1.013.695 ხმა, ანუ 4,24 პროცენტი (3,9 პროცენტი).

მთავრობის კოალიციის პარტიებმა ამრიგად მიიღეს 12.363.700 ხმა, ანუ 51,68 პროცენტი.

რადიკალურმა პარტიამ მიიღო 20.793 ხმა, ანუ 0,08 პროცენტი (არჩევნებში პირველად გამოდის).

შერეულმა ჯგუფებმა ადგილობრივი მნიშვნელობის მთელ რიგ სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებთან ერთად მიიღეს 548.954 ხმა, ანუ 2,34 პროცენტი.

ეროვნულ-მონარქისტულმა პარტიამ და „იტალიის სოციალურმა მოძრაობამ“, რომელნიც საერთო სიებით გამოდიან, მიიღეს 2.036.275 ხმა, ანუ 8,46 პროცენტი (ამ პარტიებმა ხმების 10 პროცენტი მიიღეს 1951 წელს.

სახალხო-მონარქისტულმა პარტიამ მიიღო 549.593 ხმა, ანუ 2,34 პროცენტი (წარსულ არჩევნებში არ გამოსულა).

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობაში მოყვანილია შემდეგი შეჯამებული მონაცემები სიცილიისა და ტრენტინო-ალტო-ადიჯის ოლქების მუნიციპალური არჩევნების შედეგების შესახებ.

სიცილიის ოლქი: მემარცხენე პარტიები — 556.966 ხმა, ანუ 26,3 პროცენტი; ცენტრის პარტიები — 1.191.329 ხმა, ანუ 56,4 პროცენტი; ნემარჯვენე პარტიები (მათ შორის სახალხო-მონარქისტული პარტია და მემარჯვენე დამოუკიდებელნი) — 284.381 ხმა, ანუ 13,4 პროცენტი; სხვა სიები — 82.630 ხმა, ანუ 3,9 პროცენტი.

ტრენტინო-ალტო-ადიჯის ოლქში: მემარცხენე პარტიები — 45.060 ხმა, ანუ 11,8 პროცენტი; ცენტრის პარტიები — 314.254 ხმა, ანუ 82,1 პროცენტი; მემარჯვენე პარტიები — 18.872 ხმა, ანუ 4,9 პროცენტი; დანარჩენი სიები — 4.683 ხმა, ანუ 1,2 პროცენტი.

სინგაპურის მთავარი მინისტრის დავიდ მარშალის განცხადება

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი), როგორც ფრანს პრესის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იუწყება, ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომ ინგლისის კოლონიათა სამინისტრომ უარი თქვა განაახლოს სინგაპურის ხელისუფლებთან მოლაპარაკება იმ საკითხზე, რომ სინგაპურს დამოუკიდებლობა მიენიჭოს, სინგაპურის მთავარმა მინისტრმა დავიდ მარშალმა განაცხადა, რომ სინგაპურის მოსახლეობა თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელს არ აიღებს. „ჩვენ არასოდეს არ მოვაწერ ხელს ისეთ შეთანხმებას, რომელიც სინგაპურს კოლონიათა სამინისტროს გამგებლობაში დატოვებს“, — თქვა მან.

მარშალმა შემდეგ თქვა, რომ განზრახული აქვს „გასაცნობად ინოგზაურის აზიის ქვეყნებში“, კერძოდ, ეწვიოს იაპონიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ

ფხენიანი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება კორეის სახალხო არმიის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თანმიმდევრულად მოითხოვდა და მოითხოვს, რომ კორეის საკითხი გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. კორეელი ხალხის სურვილის დასაკმაყოფილებლად, იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას უნდობლობა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთგზის მიუცია წინადადება სამხრეთ-კორეელ ხელისუფალთათვის განეცხადებინათ, რომ ისინი არ გამოიყენებენ შეიარაღებულ ძალებს, და მინიმუმამდე შემცირებულ იქნას სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალები. მაგრამ სამხრეთ კორეის ხელისუფალნი არ გამოეხმაურნენ ამ წინადადებას.

ისწრაფვის რა ახალი ნაბიჯი შეიტანოს კორეის მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და საქმით შექმნას უფრო ხელსაყრელი პირობები კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი, ისევე როგორც წინათ, პირველი არ გამოიყენებს თავის შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ კორეის ხელისუფალთა წინააღმდეგ; 1956 წლის 31 აგვისტომდე 80 ათასი კაცით შემცირებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიცხვს; შეიარაღებული ძალების ზემოთ აღნიშნული შემცირების შესაბამისად შემცირებს შეიარაღებასა და საბრძოლო ტექნიკას, ხოლო შესაბამის სამხედრო ხარჯებს მოახმარს მშვიდობიან მშენებლობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას; დემობილიზებულ სამხედრო მოსამსახურეებს უზრუნველყოფს სამუშაოთი მათი სურვილისა და უნარის თანახმად.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ითვალისწინებს ამ ფაქტს, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა ესწრაფვის სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მჭიდრო კონტაქტის დამყარების გზით. თუ სამხრეთ კორეის ხელისუფალნი გულწრფელად სცემენ პატივს კორეელი ხალხის სურვილს, მათ არ შეუძლიათ არ განაცხადონ ასეთივე ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც შეესაბამებიან ხალხის ნებას.

ტურისტთა პირველი ჯგუფები ერთვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ტურისტულმა ბაზამ 30 მაისს მიიღო ტურისტთა პირველი ჯგუფები. ექსკურსანტები ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან, მურმანსკიდან, ორიოლიდან, სტავროპოლიდან, ბაქოდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, გაეცნენ თბილისის ისტორიულ ადგილებს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც ჩვენი რესპუბლიკის მხატვართა 1955 წლის ნამუშევრების გამოფენა საქართველოს სურათიანის სახელმწიფო გალერეის შენობაში.

ტურისტები თბილისში დარჩნენ ორ დღეს, შემდეგ წავიდნენ ბათუმში, გზაზე დათვალიერეს გორი.

31 მაისს ბაზამ მიიღო ტურისტთა ჯგუფი, რომელიც თბილისში ჩამოსვლამდე იყო ერევანში, სევანზე, კიროვაკანში, თუმანიანში. თბილისიდან ტურისტები გორსა და გაგრაში გაემგზავრებიან.

თბილისის ტურისტული ბაზა კარგად მოემზადა საზაფხულო სეზონისათვის. შენობას კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. შეკეთებულია ინვენტარიც. მოიწყო ტურისტთა ახალი კაბინეტი. აქ ყურადღებას იპყრობს ლამაზად გაფორმებული სტენდი, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს. მეორე სტენდზე ნაჩვენებია საქართველოს ისტორიული ადგილები, გამოფენილია ცნობილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები, ახალშენებლობათა ფოტოსურათები.

ბაზაში შექმნილია ყველა პირობა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის. სისტემატურად მოეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კოლექტიური სვლა თეატრებსა და კინოთეატრებში, სპორტულ შეჯიბრებებზე. ტურისტების განკარგულებაშია კომფორტაბელური ავტობუსები.

სურათზე: ტურისტთა ერთი ჯგუფი ლენინის ქუჩაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს მსოფლიოს თასი

დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში

სტამბოლი, 1 ივნისი. (საკდესი). გუშინ სტამბოლში დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. პირველი ადგილი და მსოფლიოს თასი მოიპოვა საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა თურქეთის გუნდმა, მესამე — ბულგარეთისამ.

სხვადასხვა წონითს კატეგორიაში ადგილები ასე განაწილდა:

უმძიმეს წონაში: ერბაში (თურქეთი), ბარანი (უნგრეთი), სიმონი (საარი);

მძიმე წონაში: ილმაზი (თურქეთი), პეტროვი (ბულგარეთი), ხორვატი (რუმინეთი);

ქვემსუბუქ წონაში: სტაშკევიჩი (სსრ კავშირი), კამბური (თურქეთი), პოიიაკი (უნგრეთი);

მსუბუქ წონაში: ვ. როსინი (სსრ კავშირი), ლუბტონენი (ფინეთი), დოგანი (თურქეთი);

ქვესაშუალო წონაში: ვ. მანეევი (სსრ კავშირი), ბაირაკი (თურქეთი), რანტანენი (ფინეთი);

საშუალო წონაში: გ. კარტოზია (სსრ კავშირი), სიმიჩი (იუგოსლავია), ჰესი (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა);

ქვემძიმე წონაში: ა. ტკაჩოვი (სსრ კავშირი), სირაკოვი (ბულგარეთი), კოვანი (უნგრეთი);

მძიმე წონაში: ი. კოტკასი (სსრ კავშირი), კაპლანი (თურქეთი), ალიშევი (ბულგარეთი).

გუშინ მითამტა-ფაშის სტადიონის თავზე შვიდჯერ აღიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი და შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. შეჯიბრების დამთავრებისას სტამბოლის გუბერნატორმა და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა გეკაიმ თქვა, ამგვარი შეჯიბრება ხელს უწყობს ხალხთა შორის უფროერთგვაგების დამყარებასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებასო.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის თხოვნა მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობებისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ამხ. დმიტრი ტროფიმეს-ძე შეპილოვი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაბიკიძე.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გელის ტბა, რუსთაველის სახელობის — საქმიანი კაცი, გრიბოედოვის სახელობის — შემთხვევითი შეხვედრები, სომხური დრამის — სასიძოები, მუსიკალური კომედიის — ლალი ქარი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — უდანაშაულო დამნაშავენი (აბონემენტი № 41, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (10 ს.), ფილარმონია — აზერბაიჯანის საესტრადო ანსამბლის კონცერტი (სახაფხულო თეატრში, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), თბილისი — მარადიული ლამის საიდუმლოება, ოქტომბერი (საზამთრო და საზაფხულო), სპარტაკი — ირენა, სახლში, კომკავშირელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — პალატა № 9, კოლხიდა (საზამთრო), დიდუბე (საზამთრო) — უნივერმაღის ვიტრინის იქით, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი — იუდიტ ბენდიჩის დანაშაული, კოლხიდა (საზაფხულო) — მეთორმეტე ღამე, ისანი (საზაფხულო)— ადრესატის ძებნა, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — სამსახური, დიდუბე (საზაფხულო) — ბუდაპეშტის გაზაფხული, კოლმეურნე — ბრძოლა ელზე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — დაღუპული სიცოცხლე.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1956 წ. 13 ივნისს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ამბაკო დვირას-ძე ღურწკაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კომუნისტური პარტიის ბრძოლა საქართველოში ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის“ (1921-25 წწ).**

1956 წ. 13 ივნისს დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვაჟა გიორგის-ძე გოგობერიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პრაგმატიზმის ფილოსოფიის რეაქციული ბუნების შესახებ“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

(რუსთაველის პრ. № 17)

ა./წ. 11 ივნისს დღის 4 საათზე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ბარბარე კირილეს ასული ნიკოლაიშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლექსის მხატვრული შესრულების პრობლემისათვის ქართულ მხატვრულ კითხვასა და სასცენო მეტყველებაში“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

„კინოპროკატის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

4 ივნისიდან

ნახეთ ერნოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ქალაქებში: **თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხაკაიაში, ახალციხესა და გურჯაანში**

ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ეთერის სიმღერა“

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ 1956 წ. ნაწარმოები.

სცენარი და დადგმა რეჟისორ ხ. დოლიძისა, მთავარი ოპერატორი დ. ფელდმანი, რეჟისორი ვ. შველიძე, მთავარი მხატვარი რ. მირზაშვილი, კოსტიუმების მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკალური რედაქცია კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილისა, ხმის ოპერატორი ვ. დოლიძე, კომბინირებული გადაღების ოპერატორი გ. უსეინაშვილი, მხატვარი რ. ვაშაძე, სურათის დირექტორი შ. ქურდიანი.

როლებში მსახიობები:

ვ. კვაჭაძე, მ. ჯაფარიძე, ბ. ვინოგრადოვი, ი. რუსინოვი, ვ. გოძიაშვილი, კ. დოლიძე, რ. კილაძე, რ. ჩხიკვაძე, გ. გეგეჭკორი, მ. ხინიკაძე, ლ. ასათიანი, გ. ხაღარაძე, ა. ყორეოლიანი, თ. ციციშვილი, ლ. ბაქრაძე, ნ. რიფოვი და სხვები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ორი უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი საბუთები ორ-ორ ცალად: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. უმაღლესი განათლების დიპლომი, 4. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საბუთი, 5. სამეცნიერო შრომების სია, 6. სამსახურებრივი და პარტიული დახასიათება.

კონკურსის ვადაა 10 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში — თბილისი, კეცხოველის ქ. № 10.

გრძელდება ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1956 წლის მეორე ნახევრისათვის. ცენტრალურ ჟურნალებზე ხელმოწერა წლის მეორე ნახევრისათვის მიიღება 10 ივნისამდე, ცენტრალურ გაზეთებზე 15 ივნისამდე, რესპუბლიკურ გამოცემებზე — 25 ივნისამდე.

„სოიუზპეჩატი“

დედა შუშანა, მეუღლე თინა, შვილები რამაზ, მანანა, ძმა პავლე ოჯახით, და ნანა იუწყებიან ექინ

ოთარ კონსტანტინეს-ძე ბერუჩაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-VI, 8 ს. გამოსვენება 5-VI, 6 ს. ბინიდან, ზემო ვაკის დასახლება № 8.

შვილი ლენა, სიძე შალვა გუბელაძეები იუწყებიან

მაშა კონსტანტინეს ასულ კოდუაფარცვანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI, ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ბინიდან, ძნელაძის ქ. № 11.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან

მართა მაქსიმეს ასულ დევიძე-ხარალაძის გარდაცვალებას.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის კოლექტივი იუწყება

ეკატერინე ნოშრევანის ასულ ხარაძის გარდაცვალებას.

მწობლები ასინეთი, გრიგოლ, მეუღლე ანგელინა, შვილი გურამ, და მარგალიტა, ძმა ჭიჭიკო, რძალი ლამარა შვილებით იუწყებიან

გიორგი გრიგოლის-ძე ჩანტლაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VI სოფ. ბეოლიეთში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე ვერა, შვილი მედეა, დები ეკატერინე, ბარბარე, ელენე, ძმა გრიგოლ იუწყებიან

მიხეილ ივანეს-ძე ეპიტაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 3 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 77.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი იუწყება ძველი შემანქანის

ალექსანდრე საბას-ძე ქებულაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 2-VI, 4 ს. ბინიდან, გოგოლის ქ. № 55.

შვილები გრეტა, ქეთო, ეთერ, რძალი ელენე შეშენინა, სიძეები ჯ. ჯუმბურიძე, კ. გრიგორიანი, გ. კოკანი ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ ბიმბოლათის-ძე თომაევის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 3 ს. ტურგენევის ქ. № 4.

შვილი ალექსანდრე, რძალი ლილი, ლები ანა, ბაბილა, სიძე დ. ცანდაძე ოჯახებით და შვილიშვილები იუწყებიან

კალისტრატე მელიტონის-ძე წულუკიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 5 ს. ბინიდან ლენინის ქ. № 1.

მოქალაქე რობერტ გრიგოლის-ძე დავიდოვმა, მცხოვრებმა შემახის ქ. № 14, აღძრა საქმე მარტყოფის შესახვევი № 20 მცხოვრებ ლილი ალექსანდრეს ასულ კუდრენკოსთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მერი მიხეილის ასულმა შმულევიჩმა, მცხოვრებმა მოსკოვის ქ. № 12, აღძრა საქმე ვეძინის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე სიმონ რომანის-ძე შმულევიჩთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ბამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, ხაბეჭდთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-81-85, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЭ 03030 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.